თვითდამაზიანებელ ქმედებათა და თვითშეფასების ურთიერთმიმართება მოზარდებში

ნინო ჭინჭარაული

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კოსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ფილოსოფიის დოქტორი ფსიქოლოგიაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ჭინჭარაული

15.01.2014

აბსტრაქტი

წინასწარგანზრახული თვითდამაზიანებელი ქმედება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მოზარდებში, რადგან თვითდამაზიანებელი ქმედებების გამეორება საგრძნობლად ზრდის თვითმკვლელობის შანსს. სამაგისტრო ნაშრომში განხილულია თვითდამაზიანებელ ქმედებათა და თვითშეფასების ურთიერთმიმართება მოზარდებში.

ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ნაშრომში საგანგებო ყურადღება ეთმობა თვითდამაზიანებელი ქმედების განსხვავებული დეფინიციების გადმოცემასა და მათ ანალიზს. აქ, ასევე, განხილულია, თვითდამაზიანებელი ქმედების გამომწვევი და თანმხლები ფაქტორები, თვითდამაზიანებელი ქმედების კვლევის ინსტრუმენტები, თვითდამაზიანებელი ქცევის შესაძლო შედეგები და გამკლავების ის სტრატეგიები, რომლებსაც მოზარდები მიმართავენ სხვადასხვა სიტუაციაში.

ნაშრომში, ასევე, განხილულია ავტორის მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანი იყო მოზარდთა თვითშეფასებასა და თვითდამაზიანებელ ქმედებებს შორის არსებული კავშირების გამოვლენა. კვლევის ინსტრუმენტებს წარმოადგენდა კ. გრაცის ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი თვითდამაზიანებელი ქმედებების შესახებ და დემბო-რუბინშტეინის სკალა პიროვნების თვითშეფასების შესახებ (ა. მ. პრიხოჟანის მოდიფიკაციით). კვლევამ გამოავლინა, რომ დაბალი თვითშეფასება მოზარდებში ზრდის თვითდამაზიანებელი ქმედების განხორციელების რისკს.

კვლევის შედეგები ხელს შეუწყობს თვითდამაზიანებელი ქმედებების გამოვლენას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფარგლებში და მათთან გამკლავების ეფექტური სტრატეგიების შემუშავებას.

Abstract

Deliberate self-harm is a serious problem in adolescents. Repetition of self-harming behaviour significantly increases suicide risk. The present work explores relationships between deliberate self-harm and self-assessment in adolescents. In the literature review different definitions of deliberate self-harm are analysed. Psychological and psychosocial factors related to the self-harming behaviour are also discussed. Special attention is paid to the self-harming inventories, outcomes of the self-harming behaviour, and coping strategies.

The present study also discusses quantitative research conducted by the author of the work. The aim of the research was to analyse relationships between deliberate self-harm and self-assessment in adolescents. Subjects were 50 boys (mean age = 16,4 years) and 50 girls (mean age = 17,2 years) from a public school in Tbilisi, Georgia. Self-assessment was measured by Dembo-Rubinstein self-evaluation test and the Deliberate Self-Harm Inventory (DSHI) was used for assessing self-harming behaviour. The study indicated that low self-esteem increases the risk of self-harming behaviour. The results of the present work will increase the awareness about deliberate self-harm in Georgian public schools and promote development of effective coping strategies.